ხელშეკრულება №„52"

„12" „ აპრილი " 2011 წელი ქ. თბილისი

1. **ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასა (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი"-ს (შემდგომში მიმწოდებელი) შორის და მიღწეული იქნა ურთიერთ შეთანხმება შემდეგზე:

ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10[1] მუხლით, გამარტივებული შესყიდვით.

2. **ხელშეკრულების ობიექტის დასახელება**

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას ელექტრო აკუმულატორები (cpv:31400000) და უზრუნველყოს მისი მონტაჟი ხელშეკრულების დანართი №1-ს (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 განისაზღვრება 250 (ორასორმოცდაათი) ლარით.

4. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

4.1 განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. **საქონლის მიწოდების ეტაპობრივი ვადები**

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელისმოწერის დღიდან.

5.2 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 2.1 პუნქტში მითითებული საქონლის მიწოდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (ყოველი მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში)

6. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

6.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართ №1-ში (ფასების ცხრილი) მითითებულ პარამეტრებს და უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

7. **მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 შესყიდვის ობიექტის (საქონელი) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის ტრანსპორტის სამმართველოს უფროსს შალვა მაღრაძეს.

8. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

8.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფორმა სტანდარტული.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწიებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

9.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

9.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

9.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. **ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

(ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;

(ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

11. ფორს მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ▯მიტ ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველს (მის წარმომადგენელს) უფლება აქვს გამოცადოს შესყიდვის ობიექტის (საქონელი) ხარისხი, რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

13.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.3 ხელშეკრულებაში მითითებული ობიექტის (საქონელი) ფასსა და ხარისხზე პასუხისმგებელი პირია სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ბუჩუკური.

13.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დროს ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ხარისხის შემოწმება და კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის ტრანსპორტის სამმართველოს უფროსს შალვა მაღრაძეს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

13.5 8.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 13.3 პუნქტში მითითებული პირი.

13.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების

სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

14.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს

ორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. მავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

14.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

შემსყიდველი:
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
მის: ქ.თბილისი კოსტავას №37ა
ტელ: (+995 32) 99 89 90

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა,
საიდენტიფიკაციო კოდი 204532434

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი"
მის: ქ.თბილისი კოსტავას ქუჩა №70;
ტელ: (+995 32) 54 00 00;
ფაქსი: .;
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი
სს „საქართველოს ბანკის"-ს ც/ფ
კოდი 220 101 502
ანგარიშის №153 512 100
საიდენტიფიკაციო კოდი 236 093 473

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი:

დიმიტრი სანაკოევი

ხელმოწერა: _____

ბ.ა.

შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი"-ს
აღმასრულებელი დირექტორი:

ლაშა მიგინეიშვილი

ხელმოწერა: _____

ბ.ა.

დანართი №1

2011 წლის „12“ „აპრილის“ №52 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

№	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	სარეგისტრაციო ნომერი	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	აკუმულატორი 58 ა/ს	1	NUC-932	125	125
2	აკუმულატორი 58 ა/ს	1	NUC-943	125	125
					სულ: 250

შემსყიდველის მხრიდან:
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი:

დიმიტრი სანაკოევი

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან:
შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი“-ს
აღმასრულებელი დირექტორი:

ლაშა მიგინეიშვილი

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვის №52 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არარსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** საქართველოს კანონის მუხლი 8-ით **(ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები)** გათვალიწინებულ მოთხოვნებს.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის

ხელმძღვანელი **დიმიტრი სანაკოევი**

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის

საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის

შესყიდვების სამმართველოს უფროსი **ალექსანდრე ბუჩუკური**

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის

საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის

ტრანსპორტის

სამმართველოს უფროსი **შალვა მაღრაძე**